კვირა 2 მაისი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათრახი

№ 18 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

ქართველი ინტელიგენცია.

მსხვერპლი მამულის წინაშე!

ლიტოგრაფია ს. ქიხოძისა.

პატარა *) ფელეტონი.

საგანგებო კრება.

ქართველი საზოგადოება ფეხზე დადგა! არჩილ ჯორჯაძის ოცნება საქმეთ იქცა: ქართველი ერი შეერთდა! ერი და ბერი, მღვდელი და დიაკონი, თავადი და გლეხი, მუშა და მწარმოებელი, ყველანი ერთი აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალულნი, ერთგვარ ღრმათ ჩაფიქრებულნი, ერთგვარ მოუთმენელნი და ჩუმი მღელვარებით შეპყრობილნი!

რა მოხდა? რა ამბავია?

იქნებ ფიქრობთ, გედევნოვის იუბილე იყოს მიზეზი ამ შეერთებისა? ან გგონიათ ტერიტორიის საკითხი? ან იქნებ წერა-კითხვის საზოგადოებაზე ფიქრობთ? ან ქართულ თეატრზე? არა და არა! ღრმა შეცდომაშია ყველა ასე მოაზრე! საქმე უფრო მძიმე და სერიოზულია.

6 მაისს, დილის ექვს საათზე გალლეის კომეტა მიწას უნდა დაეჯახოს!

განადგურება აუცილებელია! ფლამარიონის აზრით: ან სიცილ-ხარხარში უნდა დაღლილთ უკანასკნელი წუთები დღენის ჩვენის ცხოვრებისანი, ან მწარე ტანჯვასა და გოდებაში, როგორც ეს ბ ნ „სიტყვაა“ სჩვევია.

და აი დღევანდელი უჩვეულო, ანუ საგანგებო კრებაც ამ უჩვეულო მოვლენამ გამოიწვია, ამან შეასხა ფრთები ჯორჯაძის ოცნებას.

კრების მზანი: გამონახოს რამ საშველება, მამულის განსაცდელიდან გადასარჩენათ.

ჩინებული განზრახვაა!

— ბ-ნებო! დაიწყო კრების თავმჯდომარე, ნიკო ნიკოლაძემ,—ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა დიდს განსაცდელში! ხუთიოდ დღე და ჩემს დაწყებულებათაგან თითქმის აღარაფერი დარჩება! ფოთის ნავთსადგური გაკამტვერდება, საფუთო გადასახადი მოიპობა! საჭიროა გაიგზავნოს ვინმე პეტერბურგს ამ საქმის გამოსარკვევათ.

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა.

— ბ-ნებო! იქნებ პეტერბურგში წასვლა საჭიროდ იყოს, დაიწყო ზდაწვინჩმა, მაგრამ ახლა ამისი დრო აღარ არის, არ მოესწრობა. ჩემის აზრით საჭიროა კომეტას საკუთარის ძალღონით შეეხვედეთ და უკუ ვაქციოთ. შავი ქვის საბჟო თავის წარმომადგენელათ ნიშნავს ჩვენ მიერ ახლად შეძენილ საფრენ მანქანას „სამქვარიანს“.

ხალხში კვლავ უიმედობის ხმები გაისმის.

— პატივცემულნო ქართველნო წარჩინებულნო და უწარჩინებულნო! როგორც წარმომადგენელს თფილისის თავად-აზნაურობის, შეგიმაქვს წინადადება: არჩიულ იქნას კომისია ხუთი კაცისგან, რომელიც გზად შეეგებება კომეტას და გამოუცხადებს ქართველი ხალხის უქვეშვრდომილეს გრძნობებს. წმინდა ქართული კილოთი წარმოსთქვა პავლე თუმანიშვილმა.

,,ეგ ზღაბარაო“, გაისმა უკმაყოფილო ხმა ხალხისა. მხოლოდ აბნაური ვასილ ხუნდაძე იყო ამისი თანახმა იმ შესწორებით, რომ თან ბერი მარილიცა და საეკლესიო დროშებიც გამოეტანათ.

— ამხანაგნო და მოკალაქენო! დაიწყო გაზეთი „სხივის“ წარმომადგენელმა,—ერთად ერთი გზა ხიფათის ასაცდენათ ეს არის სახელმწიფო დუმაში შეკითხვის შეტანა კომეტის მოქმედების შესახებ. ვაცნობოთ ჩვენს დეპუტატებს, რომ დაუყონებლივ აღსძრან ეს საკითხი.

ხალხში კვლავ უკმაყოფილო ჩოჩქოლია!

— ჩვენ დიდის სიამოვნებით მივაწვდით საპირო ცნობებს ამის შესახებ, წარმოსთქვა მედდურმა ი. აღლაძემ გაზ. „დროების“ სახელით.

— მხოლოდ ერთის პირობით, ჩაერია არჩილ ჯორჯაძე,— მე ვთხოულობ, რომ დეპუტატებმა ილა პარაკონ ქართველი ერის სახელით, მხოლოდ მაშინ ექნება მათ შეკითხვას ნიშნველობა.

გაისმის ყრუ უკმაყოფილება ხალხისა.

— ეი ხალხნო! დაიგრგვინა გიორგი ამირაჯიბმა,— თუ ეს არ იქნება ეთიკის წინააღმდეგი და თუ მე ანიჩს შემეფერება კომეტასთან ბრძოლა, გამიშვით მარტო, მე გაჩვენებთ თქვენ ჩემს ძლიერებას.

— ჩინებული აზრია, ჩინებული! გამოეძახენ ნ. კალანდაძე და გრიგოლ დიასამიძე

აქა-იქ სიცილი და აპა იქ უკმაყოფილება გაისმა. ტრიბუნაზე მწერალი „სიტყვა“ გამოჩნდა.

— ბატონებო! „დღიური“! ჩვენ ტყვილათ ვიწუხებთ თავს, ჩვენ არაფერი გვეშველება! „დახეთ იმ ოჯახ დაქცეულსა! თავ-პირ დაღბანელნი, თმა დაუვარცხნელნი ვართ, ეგეთი უზრდელობა როგორ იქნება? „დღიური“! „ათასის სიბილწით ვართ აოვსილნ! გულს ჩვენსას ბოროტება დაბატონებია! სული ჩვენი გარყვნილია!“ ბატონებო! „დღიური! მონანი და პოლიტიკური არაანი ვართ! შინისაგან გარეთ ვერ გამოვდივართ! გაბედულათ ხმას ვერ ვიღებთ! ათას ბვრელში დავძვრებით! ყველა წმინდანებს ვგმობთ! არ არის ღალატი, რომ არ ვიკოსროთ! არ არის ულინდისობა, რომ არ „შევლისხლოხოროთ! ბატონებო! „დღიური“ საბიზღარი წუმპე სიბინძურისა...

ხალხში უკმაყოფილება იზრდება, გაისმის: არ გვინდა, რას მიედ-მოედება! გაჩუმდეს, გაჩუმდეს!..

— ბატონებო! „დღიური!“ ზღვას რძით ვავსებდი, უდაბნოს სამოთხეთ გადავაქცევდი! ზამთარს გავაქრობდი, შიმშილს მოვს ..

უკმაყოფილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და ბ ნ „სიტყვა“ გაჰყავს ქაიხოსრო ქავთარაძეს.

*) ბოდიშს ვიხდი პატივცემულ მკითხველებთან, რომ „პატარა“ ფელეტონი ეგრე გაძეზარდა. რას იზამთ, საკითხი მეტოთ მწვავე და მნიშვნელოვანი.

ე—კი.

ტრიბუნაზე გრიგოლ რობაქიძე გამოჩნდება. ხალხი წყნარდება.

— ქ ნებო და ბ-ნებო! ლექცია! განსაცდელი თავისი რეალური განსახივრებით კარს გვადგას! ყველანი ვთრთთთთოლავთ და ვკრთით ჩვენი ,,წარმავალ მეს" ინდივიდუალ უყოფლობისა გამო. გარნა არ იცით, რომ არსი ყოველი არს ქვევით ყოფილი და კვეთილი, რამეთუ მთელსა ქმნის ნაწილთა სახიერება საერთო განწევრებაში? სინტეტიურ-ანალეტიური განსახივრება ეროვნული სულისა შეადგენს წარუვალ მეს და არავითარ კომეტას ძალუძს წარხოცნა მისი. საჯდომი იმა სულისა...

მსმენელთა შორის უკმაყოფილებამ იმატა! რობაქიძეს ლექცია შეაწყვეტიეს. ტრიბუნაზე კიტა აბაშიძე გამოჩნდა.

— ბ ნებო! მე მსურს განგიმარტოთ სურვილი ჩემს უწინარესი ორატორისა. ჩვენ არ დავუსმინეთ მას ეთქვა ბოლო სიტყვისა. სურვილი მისია მოხდეს გასამართლება კომეტისა ქართულ თეატრში!..

— საჭიროა, საჭირო, მაგრამ უთუოდ უნდა იყოს როგორც დამცველი, აგრეთვე ბრალმდებელი, შენიშნა კ ჯაფარიძემ. ქვეყანაზე არ გაგონილა სამსჯავრო, რომელსაც...

— ბ-ნებო! მე მგონია კომეტა არც იმდენათ უგულო და სასტიკია, რომ ჩვენს ახალ ცხოვრებას არ მიაქციოს ყურადღება! ეს ეს არის დავბეჭდე ჩემი ,,ერი და კაციობრიობა". უსინდისობა იქნება მისი მხრით .

აღარ გაათავებიეს სიტყვა პატივცემულ ქართველ სოციოლოგს Baton ს.

ბევრი, ძლიერ ბევრი მოსაზრება გამოითქვა მოსალოდნელი უბედურობის შესახებ, მაგრამ ხალხი ვერაფერმა ანუგეშა, წყლულს მალამო ვერავინ გამოუნახა. მღვდლები შეჰპირდენ უსასყიდლოთ, ან მცირე სასყიდლით საღამოთი ზარების რეკას და ლოცვა ვედრებას; ინჟენერები ფიქრობდენ რაიმე საფრენის მოგონებას, რომლითაც მოსახერხებელი ყოფილიყო მარსზე გადასვლა; ბოქაულებმა აღუთქვეს სტრაჟნიკების საშვალებით მისი დაჭერა; ერთმა ოზურგეთელმა აზნაურმა კომეტის დაწვა აღუთქვა ხოლო გუნიამ დათრობაც კი ურჩია იმისი, მაგრამ ყოველივე ეს ბავშვური და შეუწყნარებელი გამოდგა.

აი ამ დროს გამოვიდა სცენაზე თქვენი უმორჩილესი მონა!

— ბ-ნებო! მესმის მე თქვენი გულის წუხილი, თქვენი მოთქმა გოდება! მძიმეა განსაცდელი, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც არაფერი ეშველებოდეს. გთხოვთ მცირე ყურადღებას და მოთმინებას.

ხალხი დაწყნარდა. ყურადღება გაიზარდა.

— ბ ნებო, ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს და ერთი საშვალება უბედურობის ასაცდენათ. ამისათვის არ არის საჭირო არც პეტერბურგს რბენა, არც ჰაერში ფრენა, არც კომეტის წყენა, არც ღვინით მოლხენა საჭიროა დავითანხმოთ... გესმისთ ბ ნებო, საჭიროა დავითანხმოთ მხოლოდ გიორგი გვაზავა! დიახ, საჭიროა დავითანხმოთ გიორგი გვაზავა და დავავალოთ მას, რომ 6 მაისს, დილის 6 საათზე, ფრაკითა და ცილინდრით გამოწყობილი ავიდეს მახათას გორაზე.

,,მერმე! მერმე!" გაისმა ხალხის გრიალი! ,,განაგრძეთ, განაგრძეთ!"

— მერმე, ბ-ნებო, თან იქონიოს თავისს ლექსთა კრებული და როგორც კი გამოჩნდება კომეტა, მარცხენა ფეხის წვერზე შემდგარმა მისებურათ წაუკითხოს დაუპატიჟებელ სტუმარს და სრული იმედი გქონდეთ, რომ კუდიანი ვარსკლავი არც ისე სულელია, მას ყური უგდოს და სმენა მოიწამლოს. ის მყისვე იბრუნებს პირსა და ცის უფსკრულში ჩაინთქმება.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მქუხარე ტაშმა დაჰფარა ჩემი უკანასკნელი სიტყვები.

მაშინვე დაიყოლიეს ბ-ნი გ. გვაზავა ამ წინადადებაზე და დღეს ქართველი ხალხი გულ დამშვიდებით მოელის 6 მაისის დილას.

ვაი იმ ხალხს, ვისაც ასეთი მგოსნები არა ყავს!

ეშმაკი.

სიმღერა

—

ჩემი სევდისა გამოთქმა,
შეუძლიან განა პ-რსა?
ჩავვარდნილვარ უფსკრულ ზღვაში,
ვერ გავსულვარ განაპირსა!
ცისმარე დღეს ცრემლი მაღრჩობს,
აღარ მიხსნის დანა პირსა,
ვაი, ჩემო სიყმაწვილევ!
რით მისრულებ დანაპირსა!..

ბ. ლელაშვილი.



სკეტინგ რინკ!

თფილისელი მოქალაქე ინგლისელის როლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშვიდების დღეებში

(თარგმანი)

„ქ. პუდოჟის მცხოვრებნი, ძაღლთა გადაკინწვლის ხანაში,ვალდებულნი არიან: ყურადღება მიაქციონ თვიანთ ძაღლებს და ქუჩებში არ გამოუშონ ისინი.

გუბერნ. ნ. პროტასიევი“.

რევოლიუცია კარგა ხანია დასცხრა ქ. პუდოჟში და მომაბეზრებელი სინდისი მუდამ ამას ჩასძახოდა ადგილობრივ ადმინისტრაციას:

— აღარაფერს აღარ აკეთებ, ადმინისტრაციავ, აღარაფერს! ფულებსაც მუქთად იღებ უსაქმობისათვის, უსაქმო ადმინისტრაციავ!

— მართალია, მართალი! ჩურჩულებდა თავისთვის პუდოჟის ადმინისტრაცია. — მართლა არაფრისათვის და უსაქმობისათვის ვიღებ ჯამაგირს.

მუდამ დღე ფანრით ეძებდენ ქუჩაში სოც.-დემოკრატსა, თუ სოც.-რევოლიუციონერს, რომ ქალაქიდან გადაესახლებიათ, ან ციხეში ჩაესვათ.

— ათასი თუმანი თითო კრამოლნიკი! აცხადებდა ადმინისტრაცია, მაგრამ პუდოჟის კრამოლნიკები თითქო ცამ ჩანთქა, მიწამ ჩაყლაპა!

— ოჰ, საზიზღარი ხალხი! გაიძახოდა ადმინისტრაცია. — ასეთი უბრალო სასჯელისათვის ხმა ჩაიკმინდეს, ბუნტსა და მღელვარებას თავი დაანებეს!

საუბედუროთ, ფაქტი თავისას ამბობდა: პუდოჟის მოქალაქენი ისხდენ წყნარათ, მშვიდობიანათ და არავითარ მიდრეკილებას არ იჩენდენ პეტერბურგში შემზადებული მშვიდობიანობის დასარღვევათ.

— ეს ბუნტია! განაცხადა ადმინისტრაციამ. ისინი განზრახ არ ბუნტობენ, რომ ჩვენ მოგვისპონ საშვალება სამსახურში დაწინაურებისა. ეს ბუნტია ბუნტის წინაღმდეგ!

ადმინისტრაცია გულის სიღრმემდე აღელვა ამ მოვლენამ.

პუდოჟის მაგალითს მიბაძეს სხვა ქალაქებმა და ბუნტი ბუნტის წინააღმდეგ მოედო მთელს ოლონეცის გუბერნიას. თითონ გუბერნატორიც დააფიქრა ამ ამბავმა. მუდამ დღე მოსდიოდა მას ასეთი მოხსენებები:

— ბოქაული, პირველი უბნისა, გვერდებს იტკივებდა ლოგინზე უსაქმოთ გდებისაგან და იძულებული ვიყავით, საავათმყოფოში მოგვეთავსებია.

— გუშინ, სტრაჟნიკი მხეცაძე შიმშილით მოკვდა. ის იმ ზომ გაზარმაცდა, რომ შეეზარა ლუკმის პირამდე მიტანა.

— მესამე დღეა, რაც უბნის ზედამხედველი ქრთამაძე მკვდარი ნახეს თავის საწოლ ოთახში. ღამით მისთვის ყელი გამოეჭრა სინდისის ქენჯნას.

გუბერნატორმა გადასწყვიტა, მიიღოს რაიმე ღონისძიება ხელქვეითთა გამოსაფხიზლებლათ.

— უნდა უთუოდ მოვიფიქრო რამე, წარმოსთქვა მან და მართლაც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მოიგონა კიდეც.

— ხალხი დაწყნარდა, დროა ცხოველებს მივყოთ ხელი...

და მეორე დღესვე „საგუბერნიო უწყებებში“ დაიბეჭდა სასტიკი ბრძანება:

„ჩემამდე მოაღწია ცნობამ, რომ ჩემდამო რწმუნებულ ქალაქში პატივცემულნი შინაურნი ცხოველნი არღვევენ წესიერებას და ქუჩებში გამოდიან ადამის სამოსლით, ანუ უკეთ ვსთქვათ ტიტვლები. ვსცნობ რა ამას შეუწყნარებელ მოვლენათ, წინადადებას ვაძლევ ჩემს ხელქვეითებს, განსაკუთრებულის ენერგიით ადევნონ თვალ-ყური, რომ მომავალში ზ-ნნი ცხოველნი გამოდიოდენ აღნიშნულ ფორმის სამოსელში: ცხენები, — შარვალსა, ჟილეტსა და პიჯაკში გამოწყობილნი. ძროხები — იუბკებსა და ჩითის კოფტებში, პანამის შლიაპით. ძაღლები და კატები, — ჩოხებში. ამ დადგენილებათა დარღვევისათვის თითოეული ცხოველი დაისჯება სასტიკი სასჯელით, თანახმათ საგუბერნატორო წესებისა“.

ტირილითა და ხვიხვინით უყრიდენ ცხენები ფეხებს ვიწრო დიოგანალის შარვლებში. ძროხები ტანჯვითა და ბღავილით იცვამდენ ახალმოდის იუბკებს მოწურული კორსეტებით. ძაღლებმა ღრენაც დაიწყეს, მაგრამ მიხვდენ, რომ ძალა სხვათა მხარეს იყო და ბედს დაემორჩილენ.

„საგუბერნიო უწყებებში“ კი მეორე, უმეტეს სასტიკი განკარგულება დაიბეჭდა:

„გუშინ ჩვენ მოწამენი გავხდით ყოვლად საზიზღარი და უზნეო სანახაობისა! ქალაქის მოედანზე, იქ სადაც აუარებელი ხალხი იყრის თავს, სადაც დაღიან მოსწავლე ქალ-ვაჟნი, რამოდენიმე ბეღურაები ურცხვად ეარშიყებოდენ თავიანთ ქალბატონებს. ასეთი მაგალითი მე შეუწყნარებლათ და სამწუხარო მოვლენათ მიმაჩნია. ამიტომ წინადადებას ვაძლევ პოლიციელთ, ყურადღება იქონიონ და ხელი შეუშალონ ფრთოსანთა ამგვარ გახრწნილებას, დაიხშონ ყოველგვარი მეგობრულ-ნათესაური გრძნობები მათდამი და დამნაშავენი მყისვე დააპატიმრონ. ამ მიზნისათვის თითოეული გოროდოვოი ვალდებულია იქონიოს ჯიბეში მარილი და ყოველ საჭირო შემთხვევაში კუდზე დააყაროს უწესოებაში შენიშნულ ბეღურას“.

მთელს ოლონეცის გუბერნიაში და რასაკვირველია ქ. პუდოჟშიაც, მუშაობა გაჩაღდა.

დილა ადრიან შენიშნავდით ქალაქის ქუჩებში მონავარდე პოლიციელებს, რომელნიც გამალებითა და თავ-გამოდებით დასდევდენ ცხენებსა, ძაღლებსა და ბეღურაებს.

— აბა ჩქარა, ჩქარა მიასწარ იმ ძაღლსა! შეხედე ტიტველი გამოვარდნილა ქუჩაში! გასძახო-

დენ ერთი-მეორეს სიმწრის ოფლ გადახეთქილი პოლიციელნი.

— აი, აი შეხედე ის ბეღურა თვალს უშვებს მეორეს, აბა სტაცე ხელი! მარილი მაგას კუდზე, მარილი!

— აი ცხენი უშარვლოთ! აბა პოლიციაში უკარით თავი მაგ ბუნტის თავსა და გუბერნატორის მოწინაალმდეგეს.

მხოლოდ მწერნი და ქვეწარმავალნი გრძნობდენ თავს თავისუფალ მოქალაქეებათ მთელს ოლონეცის გუბერნიაში!

მაგრამ მათზედაც მიდგება ჯერი!

ო. ლ. დორ.

კომეტა.

კომეტა მოდის! უფრთხილდით,
ვერ გიხსნით შუბლი მაგარი,
გატყდება თავი, დიდი ხნის
ნაზარდი ნაამაგარი!

—

— მე ვერას მიზამს კომეტა,
მისი არც შემეშინება:
ფაფახი დიდი მახურავს
თუ დაჯახება ინება.
— ტყვილათ ტრაბახობ, თავადო
ის მოდის გრძელი კუდითა,
ვერ დაიფარავ მაგარ შუბლს,
ველარც ფაფახის ქუდითა.

—

— ღმერთია შემწე! ხუცესმა
წარმოსთქვა, ხელ-აღპრობილმან:
არა გასწიროს მსახურნი
ძემ ღვთისამ, მხოლოდშობილმან!!
— არა მამაო, კომეტას
მახვილი ასხამს ყურები.
იცის მან თქვენი, ღვთისადმი
ნასაქმი, ნამსახურები.

—

— ნეტავ რა არის ეგეთი
ეგ კუდიანი ვარსკვლავი?
თუ შუბლი მარტო არ კმარა,
რიღასთვის მინდა მხარ მკლავი
გიორგი ამირაჯიბის,
არვინ შობილა მამკლავი!

— ეჰ რედაქტორო, ძვირფასო
რაინდთა მისადარეო,
კუდი აქვს შენსა მუშტებზე
უფრო დიდი და მწარეო,
დაგჩაგრავს, თუგინდ გიგოც
და ნესტორიც მოიხმარეო

—

— რა ზუზებია კომეტა!
(პართენმა დაიტრაბახა)
ისეთი ცილი დავსწამო!
ოჰ, ნეტავ ერთი მანახა!!!
— არა კეთილო, ეგ ხერხი
ფუჭია აქ და ურგები:
ველარ გაუძლებს იმას კუდს
თქვენი ნაცადი ზურგები.

—

— რის კომეტაო, რის ჰლაკვი,
რის პრასა ნიახურია.
მაშ ჟურნალისტი არა ვარ,
ცილინდრი არა მხურია!
— ქართველი ჟურნალისტიო?
ოჰ რა ხუმარა ყოფილხარ!..
მოგკლავს, ძმავ, თუმცა სხვებსავით
მაგარი შუბლით შობილხარ

—

— მე კი მგონია, კომეტა,
ვერც კუდს მახლებს და ვერც ხელსა
სარდაფში როგორ მომნახავს
მხიარულ არტისტს, ქართველსა
— რას ამბობ, ძმაო, მის რისხვას
ვერსად ვერ დაემალები,
ბევრი უნახავს მას თქვენზე
უფრო ლოთი და მათვრალები.

ეშმაკი

მესტვირული.

(ვუძღვნი ქუთათურებს).

მომწყინდა ფოთში ცხოვრება
გულ მოკლულს გასაჭირითა,
და ქუთაისსა ვესტუმრე
ჩემი ქამანჩა-სტვირითა.
დავყევ კარ-და-კარ, ქუჩებსა,
ხან ჩუმათ, ხან ღიღინითა
და შევაწუხე ვინც შემხვდა
კვლევა-ძიება კითხვითა.
მსურდა გამეგო· ამ ქალაქს
რომ იხსენებენ ქებითა,
მართალი იყო, თუ ისიც
ავად არს რამე სნებითა.
პირველათ თეატრს ვესტუმრე,
ეშმაკურ მორიდებითა,
დავაკაკუნე კარები
და, კასირს მოკრძალებითა
გარდავეც ჩემი მოწმობა. .
თან პასუხს მოთმინებითა
ველოდი... შესვლა შემეძლო
მხოლოდ იმისი ნებითა.
მაგრამ სახეზე უცნობსა
შევატყე შეწყინებითა
მხოლოდ გულის თქმას მალვადა
ეშმაკის მორიდებითა.
და ბოლოს მოკლეთ მიბრძანა:
—ნება გაქვთ, შებრძანდებითა,
თუმც ეშმაკს სხვა მოწმობა აქვს
და მიტომ გვეექვებითა.
მე სიტყვა არ შევუბრუნე
და მყისვე აჩქარებითა
შევაღე კარი, შეველი
მუშური ბრწყინვალებითა.
ვნახე „სამშობლოს“ არდგენდენ
ამ „ახალთ-ახალ“ დრამასა
ალბათ უკეთ თუ შესძლებენ
ასჯერ ნათამაშს ამასა.
ვარგოდა ლეონიძეი,
ქეთევანს უქებთ თამაშსა,
ხიმშიაშვილიც მომწონდა,
კარგათ ხმარობდა ყამასა.*)
შახიც ნამდვილათ შახობდა,
სუსტობდა ვით შვენს მამასა;
და მისი ქალიც ქალობდა
წუხობდა ტყვეთა ტანჯვასა.
ხალხი-კი ძაან თხლათ იყო,
ძკირათ ნახავდით „დამასა“
ალბათ ბალებში ვიდოდენ
სტროფოსთან თხზავდენ დრამასა.
მოსწავლეები კმაროდენ
სიმართლეს ვიტყვი ამასა,
მაღლიდან გადმომცქერალნი
გრძნობით უცქერდენ თამაშსა.
გათავდა. მეც გზას გავუდექ,
სკოლებისაკენ ვიარე
ბევრი ამბავი გავიგე,
ბევრი რამ გავიზიარე.
გავიგე ერთი უჩიტლის
ამბავი სამგლოვიარე,
ამხანაგთ მტერი ყოფილა
მათ ჭირის არ მოზიარე.
როცა სურს რამის გაგება
მაშინ მათკენ არს მოარე
გაიგებს. . უფროსს ახარებს
ჩაჩუტობს თურმე მწუხარე.
ამ ხერხით ლამობს წინ სვლასა,
სხვების სიავის მდომარე
ვაშა მას! რომ სიცოცხლითვე
თვით გაუთხრია სამარე.
წიგნთ-საცავ სამკითხველოსაც
ვესტუმრე უცხო სტუმარი
შევაღე კარი... ვიხილე
გამგე მოწყენილ-მდუმარე.
ვკითხე: ძმავ რა დაგმართვია,

*) „ყამა“ მეგრული სიტყვა. ქართულათ ხანჯალი.

Ტ.

რამ ჩაგაფიქრა, რა არი?
მან მიპასუხა: ,,დამეხსენ,
დაბნეული მაქვს დავთარი.
დამტყუეს ყველა წიგნები,
აწ ვარგებული არ არი.
,,ზალოგათ“ ქუდებს სტოვებენ,
მომდის უზომო ზარალი.
ამ ქუთათური ვაჟების
სინდისი გაჰქრა ვით ქარი
მატყუილებენ... რაღა ვქნა
ჩემო ძ'ავ, აბა მითხარი?
მე ჰკუას რათ ვასწავლიდი,
ვიცან სალარო არ არი,
ვარჩიე ამის შესახებ
ეშმაკს მივართვა უსტარი.
აწ კმარა გუდა დავჩუტოთ
ღიღინს დაუდოთ საზღვარი
თუ დავრჩით კიდევ ვუმღეროთ
ქუთაისს შესამკობარი.

ტლინკაძე.

ორ წყალ შუა!

(სამი სურათი შეკვარებულის ცხოვრებიდან)

სურათი პირველი.

(მოქმედება სწარმოებს რკინის გზის სადგურზე. დილაა. მგზავრები მატარებლის მოსვლას უცდიან.)

საშა. (თავისთვის) ნეტავ როდის მოვა ეს ოხერი მატარებელი! ფუი! საათ ნახევარი ჰკლებია! გული გამიწვრილა ამოდენმა ლოდინმა. ნეტავი ნაცნობი მაინც გამომჩნდეს ვინმე, რომ ლაპარაკში გული გადავაყოლო, (ამ დროს პლათფორმაზედ გამოჩნდება სოლომანი თავიდან ფეხამდის ტალახში ამოსვრილი).

სოლომანი. (ნასილჩიკს) აი აქ დადევი, შენ კი წადი და ბილეთი აიღევი.

ნასილჩიკი. რომელი კლასისას ინებებთ ბატონო?

სოლომანი. მეორე.

ნასილჩიკი. ეხლავე მოგართმევთ. (სოლომანი ბუფეტისკენ წავა, მარა ამ დროს შეამჩნევს მოსეირნე საშას, და უძახის).

საშა. (ხელს ართმევს და ჰკოცნის) გამარჯვება კაცო! ემსაჩი იმას ვნატრობდი: ნეტავი ნაცნობი შემხვდეს ვინმე-მეთქი. როგორა ხარ ჰა?

სოლომანი რა მიჭირს, ხან აქეთ ვგდივარ ხან იქით. როგორც ძაღლს ისე მათრევენ.

საშა. საით ყოფილხარ? ეს რა მოგსვლია, ტალახში ხომ არ გორავედი? (იცინის) ნამდვილ ტალახაძეს მაგონებ აი!

სოლომანი. ტალახაძე კი არა, რატო მეტიც არა ვარ ჩვენი უფროსების გადამკიდე. ერთ დღეს არ გვაძლევენ მოსვენებას: ხან აღმა გიზამენ პირს, ხან დაღმა. ბრძანების მეტი რა სჭირდებათ. მოვაჩეჩებენ ხელში ბრძანების ქაღალდს და რა მოგივა იმას არ კითხულობენ. თვითონ კი თბილ კაბინეთიდან ფანჯარაში გამოიყურებიან. უსამართლობაა ჩემო საშიკო უსამართლობა! შენ რაღას შვები? რატო წელს არ წასულხარ რუსეთში, ჰა?

საშა. (ამოიოხრებს) ეჰ, ჩემო მეგობარო, იქ წასვლას ხელის ჭუჭყი უნდა, მე კი გახვრეტილი გროშიც არ მაბადია, რომ კევი ვიყიდო და ცხვირზედ მივიკრა. აბა რითი წავიდე?

სოლომანი. რატო სტიპენდიის შოვნას არ ცდილხარ, შენმა ამხანაგებმა თუ კი იშოვეს?

საშა. ბევრი ვიჩალიჩე, მარა არა გამოდნა-რა.

სოლომანი. მიზეზი?

საშა. ათასი.

სოლომანი. მაინც ღმერთმანი, რა მიზეზია? პირველ ხარისხზე კი გაათავე და რატომ არ მოუციათ?

საშა. ეხ ჩემო ძმაო, პირველი ხარისხი, ბევრს არაფერს გიშველის, თუ ან კომისიაში არა გყავს ვინმე დამხმარე, ან ვინმე დიდ გამოჩენილ თავადს არ იცნობ, ან.., ესე იგი, მოკლეთ რომ ვთქვათ, პროტექციაა საჭირო.

სოლომანი. (გაჯავრებავ) ეგ ხომ უსამართლობაა, ეგ ხომ ადამიანის მასხარათ აგდებაა! რატო ხმას არ ამოიღებ? პრესა ხომ სუფევს. თქვენ უნდა ეცადოთ გამოამჟღავნოთ ყოველივე, უნდა მოითხოვოთ სამართლიანობა, უნდა იბრძოლოთ სამართლიანობისთვის.

საშა. (დინჯათ) მესმის, ამხანაგო, შენი გულის წყრომა, მარა ჩვენდა საუბედუროთ „პრესსაშიც“ პროტექციაა საჭირო, თორემ შენ მიტანილ უბრალო წერილსაც უადგილოო ალაგს გაისვრიან.

სოლომანი. როდემდის უნდა დარჩე ეგრე?

საშა. რა ვქნა? უნდა უცადო დროს და იღბალს, იქნება იქნება როდისმე ჩემს წინაც დაიჩოქოს აქლემმა.

სოლომანი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბიჭო! ერთ რამეს გირჩევ.

საშა. აბა?

სოლომან. ცოლი შეირთე. ვაჭრებს კარგი ქალები ჰყავთ და სტუდენტი სიძეებიც უყვართ ფულს ბევრს მოგცემენ.

საშა. ერიჰა... შენ სულ ბავშვი ყოფილხარ. ასე გგონია ცოლის შერთვა ბაღში კიტრის მოწყვეტა იყოს. აქაო და ფული აქვსო ვინ იცის ისეთი ჯაჭვი გადავიკვიატო, რომ მთელი სიცოცხლე მომიწამლოს ჯერ ქალსაც, რომ იცნობდე და გიყვარდეს მაშინაც ძნელათ უნდა ენდოს კაცი, არა თუ ასე პირდაპირ შეირთოს. განა არ იცი იმათი ამბავი?! დღეს შენ უყვარხარ, ხვალ სხვა და ასე. რაზედ ავიტკიო აუტკივარი თავი, ჰა?

სოლომანი. (ნაღვლიანათ ამოიოხრებს) ეჰ, უბედურებაც ეგ არის, ჩემო მეგობარო, კაცს ცოლის შერთვა გინდოდეს, გიკვდებოდე, მთელი დღე იმაზე ფიქრობდე და თანაც გეშინოდეს

საშა. (მხიარულათ) შენ რაღაც სხვა ჰანგზე მღერი ჰა? ხომ არავის გადაეკიდე?

სოლომანი. (ყოყმანით) არა მაგრამ.

საშა. მაგრამ რაღა? თქვი, ნუ მიმალავ.

სოლომანი. მაშ კარგი გეტყვი, მხოლოთ დავსხდეთ, თორემ დავიღალე.

საშა. დავსხდეთ.

სოლ. ეხლა-კი გამოგიტყდები. მთელი ერთი

წელიწადია, სადაც მე ვმსახურობ იქ ერთი ქალი მიყვარს. ეხლა შემოდგომაზე ვაპირებ ჯვრის წერვას, მარა ძალიან ვშიშობ: ვი თუ არ ვუყვარდე და მარტო იმიტომ მეკლეოდეს ისე, რომ გათხოვება უნდოდეს!

ხაშა. მაშ დარწმუნებული არა ხარ იმის სიყვარულში?

სოლ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სიტყვიერათ და ქცევით მარწმუნებს, მარა გულში რა უდევს არ ვიცი. მინდა როგორმე გამოვცადო, მინამ ჯვარს დავიწერ, მარა როგორ? და რანაირათ? ეს ვერ მომიფიქრებია.

ხაშა. რაში უნდა გამოსცადო? სიყვარულში?

სოლ. დანამდვილებით უნდა გავიგო იმის სიყვარული ჩემდამი.

ხაშა. მაშ აღარ ხუმრობ აი. ცოლიანი კაცი უნდა გახდე ჰა? სასიამოვნოა.

სოლ. დრო არ არის თუ?

ხაშა. მაშ შენ გამოცდა გინდა იმ ქალის?

სოლ. უსათუოთ, და იმედია, ეამეხმარები.

ხაშა. მე ვიცნობ იმ ქალს?

სოლ. არა.

ხაშა. არც მინახავს?

სოლ. შეიძლება გენახოს.

ხაშა. ჰყავს ვინმე?

სოლ. ერთი ძმა ჰყავს ჩემოდენა და ქვრივი დედა.

ხაშა. სადა ცხოვრობენ?

სოლ. იქ, სადაც მე ვმსახურობ.

ხაშა. (ცოტა ფიქრის შემდეგ) იცი, სოლო, ადვილია იმ ქალის გამოცდა. თუ შენც მოიწონებ ჩემს აზრს.

სოლ (მხიარულათ) შენ გენაცვალე მიშველე რამე, აბა როგორ?

ხაშა. მე ვკისრულობ მაგ საქმეს, თუ შენც ყოველისფერში მხარს დამიჭერ

სოლ. ვინ თავ მკვდარი არ დაგიჭერს, ოღონც მომიხერხე რამე.

ხაშა. მაშ აი ესრე შეიძლება იმ ქალის გამოცდა. შენ უნდა გამაცნო ის ქალი, ან სხვა ვინმესთან უნდა მიმიწერო წერილი, რომ უსათუოთ გამაცნონ. მე ერთი-ორი კვირა დავრჩები იმ სოფელში, ვისთანაც შენ მეტყვი, განუცხადებ ჩემს გრძნობებს, აუხსნი სიყვარულს, იმის ქცევასაც და დედასაც, გამოუცხადებ, ვითომ ძალიან მომეწონა, და შერთვა მინდა. როდისმე შენზედაც ჩამოვაგდებ ლაპარაკს, გაძაგებ, ენახოთ რა შთაბეჭდილებას მოახდენს. თუ დამთანხმდა, ხომ არა ჰყვარებიხარ და თუ უარი მითხრა, მაშინ მართალი იქნება და ერთ მშვენიერ დღეს ორთავენი გამოვეცხადებით, გამოვუტყდებით ჩვენ ეშმაკობაში. ამასაც გეტყვი, რომ ჩემს თავს მდიდრათ მოვაჩვენებ და მესამე კურსის სტუდენტათ. შენ კი ამ ორი კვირის განმამავლობაში იმ სოფელს არ უნდა გაეკარო. მხოლოთ ესე შეიძლება იმ ქალის გამოცდა. რას იტყვი, მოგწონს თუ არა?

სოლ. (აღფრთოვანებული) მშვენიერი აზრია, ჩემო საშიკო, მშვენიერი. მთელი დღე და ღამე, რომ მეფიქრა ვერ მოვიგონებდი. წერილს მივწერ აქაურ მოვდელთან. ჩემი ძალიან მეგობარია, მეტს სახელს „ჩიტი ბულს“ ეძახიან, ძალიან უყვარს

გადაკვრაც. ის ყველაფერს მოახერხებს, თითონ მიგიყვანს იმათსა და გაგაცნობს, ან ფოტოფონე დიდ წყებს მაჭანკლობას. ახოლოთ ეს. უნდა, გიფიქრია წელან, რომ თქვი უნდა გაძაგოგო, „შენ ისე უნდა მოიქცე, ვითომ არ მიცნობ. იქ ჩემი სურათია და როცა ნახო: ამის ისტორია ვიცითქო. რასაკვირელია ცნობის მოყვარეობა გაიტაცებს და ჩაგაცვდებ.. მხოლოდ მაშინ დაიწყე, რაც მოახერხო.

ხაშა. (ხუმრობით) ბრავო, სოლომონ! არც შენა ყოფილხარ მამა-აბრამის ვირ... უკაცრავად შემცდა, ბატკანი (იცინის).

სოლ. ნეტა ვიცოდე რას იტყვის.

ხაშა. (სერიოზულათ) ბიკო, მართლა, რომ შემიყვარდეს და კომედიის მაგივრათ მედა შენში დრამა მოხდეს?

სოლ. (ეშვით) რას მიჭქარავ?

ხაშა. (იცინის) კარგი ხო, ეხლავე ეშვები ნუ დაგებადა, არავინ წაგართმევს. ეხლა-კი წავიდეთ თითო რამ... (ყელზედ თითს იკრავს) თორემ ყანყრატოს ცეცხლი ეკიდება ამოტენა ლაპარაკით.

სოლ. წავიდეთ, წავიდეთ (ხელი ხელს გაუყრიან და ორთავენი გადიან).

(ფარდა)

(ნადსონით)

ვით დედოფალა ბავშვმა ტიტინამ
დაპიმსხვრიევი მორთოლვარე გული
და თან თამამათ, ამპარტავნულათ
განაგრძე შვება და სიხარული. .
შენი კისკისი კვლავ ჯიბრით სავსე
წკრიალებს, თრთოლავს, ვით ვერცხლის ზარი,
შენი თვალებიც გაბრწყინებულა,
ვით ცის კამარა ტკბილათ მღიმარი. .
მარა ნუ ჩქარობ!.. ამ დღესასწაულს
მალე დაჩრდილავს შავი ღრუბელი,
უზრუნველ კისკისს, სიყვარულის ჰანგს
მალე ეწვევა შავ ფიქრთა ხელი..
ჩემს მაგიერათ დრო დაგსჯის შენა,
ჩემს წილ მადლობას ის გადაგიხდის...
ხომ იცი წელი წელაწადს, მისდევს
დრო მიდის, მიდის... უმჩნევლათ მიქრის.
სიბერის ჟამი, ვით შავი გველი,
მოგეპარება გულის შემზარი
და ვერცხლის ფერათ გადაგეკვეცა
თმა თავსნაწნავი დღეს გიშრის მდარი...
და გაიღვიძებ უცებ კაეშნით,
ამ სიცილ კისკისს ძილათ დასახავ,
მარა ნეტარ დროს ვერ დაიბრუნებ
იმ ბედნიერ წუთს ვერა, ვერ ნახავ!..
ვინ, ვინ ჩაგიკრავს ჟამს სიბერისას,
ვინ დაგავიწყებს კოცნით შავ წამებს,
სიკვდილის შიშით ანაძგერს შენ გულს
ვინ დაამშვიდებს, ვინ დაგამებს?
ნუ თუ არ დაგცემს თავს ზარს, როს ნახავ
შენი ცხოვრების არარაობას,

როს მოიგონებ მიწაში ჩაფლულს
აზრსა ცხოველსა და დიად გრძნობას?..
მე კი საუნჯეს სიყვარულისას
ფრთხილათ მოუვლი, თავს დავაკვდები,
თითეულ წერტილს ამ წმიდა განძის
შემოვეელები, გადავადნები...
დე, დღეს ვიტირო ვით ბავშვმა ჩვილმა,
სამგიეროთ ხვალ ავმღერდები,
კვლავ ათრთოლდება სიამით სიმი
და კვლავ ამეხსნის ჩემს ქნართან ფრთები...
სიხარულს. სევდას ერთად შეეაწნი,
თაიგულს შეეკრავ ცხოვრების ბაღში
და სილამაზეს მეხლ მოყრილ დავსვამ
ხვლოენებისა წმიდა ტაძარშ ..
და ოდეს შენი ხსენება, სახეც
წუთისოფელში აღარ იქნება,
შენი გულმკერდი და ქორფა ბაგე
და შავმიწდება, ალებრ მიქრება,—
იქნებ იმ ხანათ ჩემი ლექსები
შენს საფლავის ქვას ვინმემ დამღეროს,
და ვით ამ დღემდის, იმ წამსაც ჩემებრ
წმიდა გრძნობები ქნარზე აეღეროს..

ვ. მალაქიაშვილი

ზოოლოგიური გასამართლება
(ქალაქ მედეკედურში)

არც მელექედურის ინტელიგენცია ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის სხვა ინტელიგენტებს და წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ 22½ აპრილს გამართა ეგრეთ წოდებული „ზოოლოგიური გასამართლება“.

უნდა გენახათ ქ. მელექედურის ქუჩები, რომ ნათლათ წარმოგედგინათ, თუ როგორის გაასკეცებულის ინტერესით ეპყრობა ხალხი ამგვარ გასართობებს და როგორის სიყვარულით წერა-კითხვის საზოგადოებას.

არა თუ უზარ-მაზარი შენობა თეატრისა, არამედ ახლო-მახლო მოედნები და ქუჩები, სახლის აივნები და სახურავებიც კი, გაქედილი იყო სადღესასწაულოდ მორთული ხალხით. პატარა ბიჭები ქუჩის ხეებზედაც შეხიზნულიყვენ და იქიდან უთვალთვალებდენ დღეანდელი გმირის ჩამოტარებას. ტრამვაისა და ეტლების მიმოსვლა, მთავარ ქუჩებზე მაინც, თითქმის შეჩერებული იყო. წესიერებას, რასაკვირველია, თითონ ხალხი იცავდა და უნდა ითქვას ჩინებულათაც იცავდა. ერთი სიტყვით მთელი ეს სანახაობა ისეთ დიდსა და საიმედო შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ თვით „;დროებისელი“ ნაცარ-ქეციაც კი, ამას შემდეგ ორიოდ სანუგეშო „დღიურს“ უძღვნიდა თავის მკითხველებს.

ნაშუადღეევის სამ საათზე ჩამოატარეს, დიდსა და მკვიდრ რკინის გალიაში მჯდომარე, გმირი დღეანდელი „გასამართლებისა“ ცნობილი ტარტალიონ გველაძე.

თავისი გრძელი თითებით ის მაგრა ჩასჭიდებოდა გალიის რკინებს, მახვილი კბილებით დაეზო გავთ ღრღნიდა ნის მოაჯირებს და ცბიერ გველურ თვალებს გვლილანათ აცეცებდა აქეთ-იქით. პატარა ბიჭებმა ერთ-ხნობით ყიჟინა დააყარეს, მაგრამ, როცა მოწესრიგებებისაგან შენი შენა მიიღეს, დაწყნარდენ

— რას ერჩი კუტა, გალიაში რომ ყდანა კაცი არაა თუ? შენიშნა ერთმა ბაბუამ პატარას.

— კაცი თუ ყოფილიყო, არც იქნენ ჩაეყენდენ! მიუგო მოუფიქრებლათ ყმაწვილმა, მაგრამ გალიის მჯდომარის დაცინვას კი თავი გაანება.

თეატრის მოედანზე და მათ უმეტეს თითონ დარბაზში ტევა არ იყო ხალხისა. ბევრნი, უბილეთოდ დარჩენილნი, მოითხოვდენ გასამართლება გარეთ, „ღლონტების მოედანზე“, მოეხდარიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ამდენი თავისუფლება არის ქ. მელექედურში და ამიტომაც მათი სურვილი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ყოველად შეუძლებელია, აქ ამ პატარა წერილში, მოვთავსო ყოველივე ის, რაც დღეს თეატრის დარბაზში მოხდა, ეს მოითხოვს გაცილებით მეტს დროსა და სივრცეს. ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ ბრალმდებლის ანდუყაფარ ქარჩხავაძის და დამცველის მაქსიმე ქეკაძის სიტყვებს, საიდანაც მკითხველი ჯეროვანათ გაითვალისწინებს ამ ორიგინალური გასამართლების დედა აზრს

საღამოს ექვს საათზე გაიხსნა სამსჯავრო, შემდგარი ხუთი მოსამართლისა, ორი ბრალმდებელისა ოთხი ვექილისა და 13 ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით.

ბრალდებულის დანახვაზე ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცდენათ ის გალიაშივე დასტოვეს.

თავმჯდომარე. ბ-ნნო ნაფიცნო მსაჯულნო და მოსამართლენო! თქვენს წინაშე სდგას უჩვეულო სურათი; შემთხვევა ამის მაგვარი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, მაგალითი მსგავსი ამისი არ სმენია არავის. თქვენს წინაშე სდგას ადამიანი —მხეცი, ანუ როგორც ხალხი უწოდებს „მგელ-კაცა“. თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ყოველი მისი მოქმედება, ასწონ-დასწონოთ მისი გამიზნულობა, მისი ნებსით-უნებლიეთობა, მისი ზარალ-სარგებლიანობა, მისი ყოველვგარი მხარე. დაეკითხეთ მრავალგზის თქვენს სინდისს —პატიოსნებას და დასდოთ მსჯავრი. დამერწმუნებით, თუ რა დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი ტანჯული სამშობლოსათვის ამ კითხვის ჯეროვანათ განათება, მისი ყოველ-მხრივი აწონ-დაწონა და მასზე სამართლიანი მსჯავრის გამოტანა. ამისათვის მოვითხოვ თქვენს ყურადღებას.

სიტყვა ეკუთნის ბრალმდებელ ანდ. ყაფარ ქარ-ჩხავაძეს.

ხალხში ჩურჩული მისწყდა. ყველანი მოუთმენ-ლათ მოელოდნ ბრალმდებლის სიტყვებს, მისი საბუ-თების მოსმენას.

ტრიბუნაზე გამოდის ახალ-გაზრდა შავგრემანი, მაღალ-მაღალი ყმაწვილი.

ბრალ მდებელი. ღირსეულნო მოსამართლენო და პატიოსანნო მსაჯულნო! გულმოდგინეებით მო-ვისმინე სიტყვები თავმჯდომარისა, გულისყურ ვყავ-ხმა ერისა, ავსწონ-დავსწონე საქმენი ბრალდებული-სა, თანახმად ჩვენი ეროვნული კანონებისა და აი განსახილვება ყოველივე ამისა მზადა მაქვს თქვენდა სასმენად.

მაგრამ გთხოვთ მიბოძოთ ნება, შეეხო საგანს ორის მხრით: ზოოლოგიურისა და სოციოლოგიუ-რის.

ბრალდებული ტრიდიმო გველაძე იშვა სრულ-ლიად ნორმალურ ადამიანთა ოჯახში აგერ ორმო-ციოდ წლის წინათ. უკანასკნელ წლებამდე, სხვა ოჯახის წევრებთან ერთად, ის აწარმოებდა ისეთსავე ცხოვრების განვითარებას, როგორიც შეეფერება ეოტად თუ ბევრად ნორმალურ განსახილვებულ აზ-ნაურს, რომელთა ჯგუფს იგი ეკუთვნის.

ცხოვრების მიმდინარეობათა ცვალებადობამ, მას დაუკარგა ნიადაგი არსებობისა ადამიანთა შო-რის, წარიტაცეს იგი ბოროტ ინსტიქტთა მღელვა-რე ტალღებმა, დაიმონავეს ეხამ მიდრეკილებათა მკვეთრმა გავლენებმა, შებოქეს მხეცურ ინსტიქტთა მოზღვავებულმა ზვავებმა და მისცეს იმგვარ ცხოვ-რების მორევს, რომელშიაც ის ბანაობდა როგორც მხეცი სადაც მან თითქო დაკარგა ყოველივე ადა-მიანური, თვინიერ მხოლოდ სახისა.

მაგრამ, ბ ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ეს არის მოქმედება გამიზნული, მოქმ-ედება სარგებლობისათვის ნაძრახი; ეს არის მიდრე-კილება მანკიერი, მოქმედება ოქროისა და დიდების მოყვარულისა, მხეცობის სამოსლის ქვეშე ჩადებილი.

თქვენ მოგხსენდებათ, ბ-ნნო ნაფიცნო მსაჯულ-ნო, რომ მხეცთათვის არ არსებობს კანონი, არ არ-სებობენ არავითარი ზნეობრივი ნორმები და ამისა-თვის არც მოეთხოვება მათ მოქმედებას ანგარიში ამ მხრივ. აი რა მოსაზრებით გაეხვია ბ-ნი ტრიდიმო გველაძე მხეცის სამოსელში, აი რატომ გვიმტკი-ცებს ის თვის ნადირობას. მე ღრმათა მწამს თქვენი შორს მხედველობა, თქვენი დაკვირვება, თქვენი სა-მართლიანობა გაიხსენეთ ბატონებო მის მიერ ამო-წყვეტილი ოჯახობის ამბავი, გიხსენეთ მის მიერ მოტაცებულ საქონელთა ბღაელი, გაიხსენეთ მისი სოფლებში თარეში, გიხსენეთ მისი მეურძეებზე ეე-რიში, მისი ხშირი სიმთვრალე, გიხსენეთ ყოველი-ვე ეს და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ ნამდვილ, წმინდა მხეცს არ შეუძლია ამდენი ზარალი მიაყე-ნოს ქვეყანას. თქვენ გიხსენეთ, რომ ჩვენ ჩავ-შვთა წინაშე თვით მრისხანე დათვიც, კ. ... ...ვ-ვების ამართულ თათს, რომ გლეხთა ავეჯეულობას არც ბგლები ეტანებიან მაგრე რიგათ. ბრალდებულ-ი გველაძე კი დაუზოგავთ ძარცვავდა დუქნებს და ხურჯინებით ვაჭრონდა იქიდგან როგორც ჩაი-შაქარი, აგრეთვე სხვა მხეცთათვის მოუხმარელი სა-ნოვაგე.

დაუკვირდით, ბ-ნნო მსაჯულნო, ყოველივე ამას და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ ბ-ნი გვე-ლაძე, განგებ, სასჯელის ასაცდენათ იგონებს მხე-ცობას, რომ ის არის ადამიანი მხეცურის ინსტიქ-ტებით და ამისათვის დასჯის ღირსიც. (დაუსრულე-ბელი ტაში).

დამცველი ქექაძე. ბ-ნნო მსაჯულნო და პა-ტიცემულნო მოსამართლენო! ვიდრე ბრალდებუ-ლის უდანაშაულობის გამორკვევას შევუდგებოდე, ნება მიბოძეთ, მცირე ხნით ადამიანთა პირველ ყო-ფილ არსებობას დავუბრუნდე. ჩემის აზრით მხო-ლოდ ამ ექსკურსიას შეუძლია ჩვენი მსჯავრის სწორ გზაზე დაყენება და აღნიშნული პრობლემის ასე თუ ისე ახსნა განმარტება.

მაშ ჩავიხედოთ ისტორიის ჯურღმულში!

ჯერ კიდევ დიდებული მგოსანი ინდოელთა ერისა, ‘არლზ დარვინი, ამტკიცებდა, რომ ადამიანი წარმოსდგა ცხოველთა ჯიშებისაგან, რომ თქვენი უმორჩილესი მონა არის განვითარება უბრალო აფრიკული მაიმუნისა. მართალია ბ ბო მე, უკი-დურესი იდეალისტი, სხვაგვარ ვხსნიდი ადამი-ანთა განსახილვების ისტორიას, მაგრამ დღევან-დელი მაგალითი ისეთი ძლიერი თვალსაჩინობით ლაღდებს ყოველივე ამის შესახებს, ბ-ნი გველაძე ისეთს მაგალითს წარმოადგენს თეორიის დასასაუ-თებლათ, რომ იძულებული ვარ, ქედი მოვიხარო მის წინაშე.

შემდგომად ინდოელი მგოსნის დარვინისა, იგი-ვე თეორია განავითარა იაპონელმა დრამატურგმა ფრიდრიხ ნიცშემ და დღეს მსოფლიო მეცნიერება-ში ამ თეორიას არა ერთი და ორი მიმდევარი ყავს. მე ვამტკიცებ, ბ ნებო, რომ მიტრიდო გველაძე არის ერთი იმათთაგანი, რომელიც ატავიზმის ძალით ში-ნაგანი არსებით დაუბრუნდენ უძველეს დროთა წი-ნაპრებს, ხოლო გარეგანი მოხაზულობა არსებისა შეინარჩუნეს დღევანდელი.

აქ ბევრი მოსაზრება მოიყვანეს ბ-ბო იმის და-სამტკიცებლათ, რომ კლიენტი ჩემი განზრახ იგო-ნებს მხეცობას, რომ ის ნამდვილი ადამიანია მხეცუ-რის მიდრეკილებით, რომ ამ ხერხით უნდა მას სა-სჯელი აიცდინოს და სხ. და სხ

სხვათა შორის ითქვა ისიც, რომ ის იტაცებს ისეთ სანოვაგეებს, როგორიც არის მაგალითად შა-ქარი და სხვა. სასაცილოა ბ-ნნო მოსამართლენო, რომ სამწუხარო არ ეყოს ასეთ მოსაზრებათა წამო-

ყენებით ბრალდებულის დამნაშავით ცნობა. განა რომელ თქვენგანს არ მოეხსენება ის მისწრაფება ტაბილეფლობისადმი, რომლითაც განთქმულია ტყეთა ჩვენთა უმთავრესი მოქალაქე, ბ ნი დათვი? დარწმუნებული ვარ, თქვენთვის აშკარაა მისი თაფლშაქრის მოყვარულობა და ამიტომაც იმედი მაქვს, ყურადღებას არ მიაქცევთ იმ მეცნიერულ სიფუძველს მოკლებულ ფაქტებს, რომლებზედაც დამცველი უთითებს.

აგრეთვე ხაჭიროა განვმარტოთ ფაქტი ურმებზე თავდასხმისა. გარნაღა არ მოეხსენებათ, თუ რა ძნელია შიმშილი მხეცთათვის! და აი ერთ მშვენიერ დღეს ძალზე მშიერი ბ-ნი გველაძე წაადგა გზად მიმავალ ურმს, უკეთ ვსთქვათ ხარებს, რადგან მას აინტერესებდა არა ურმი, ანუ მეურმე, როგორც ასეთი, არამედ ხარები, როგორც უპირველესი საზრდო ყოველგვარ მხეცთა.

უნდა აღნიშნო აგრეთვე ის გაუგებრობა, რომელიც მთვრალობაზე ააშენა ბ-ნმა დამცველმა. დიახ! გასაკვირია, რომ დამცველს არ ესმის ბუნების მეტყველების ძირითადი კანონები! მან არ იცის, რომ სიმთვრალე არ შეადგენს მხოლოდ ადამიანთა ღირსებას, რომ თვით აფრიკის სპილონიც იმზადებენ თავისთვის ეგრეთ წოდებულ მთვრობელას, ხოლო მაიმუნთა შორის მთვრალობა უმეტეს ყვავის, ვიდრე ქართველ არტისტთა და ახალგაზრდა მგოსანთა შორის. ბ-ნი გველაძეც შეიძლება მთვრალი იყო და იყო კიდევაც ურმებზე თავდასხმის დროს, მაგრამ ეს სრულიად არ ამტკიცებს იმას, თითქო ბრალდებული არ იყოს მხეცი ადამიანის სახით, არამედ იყოს ადამიანი მხეცის ინსტიქტებით.

ბევრი, ძლიერ ბევრი რამ შემეძლო მეთქვა ბრალდების ყოველი პუნქტის წინააღმდეგ, მაგრამ იმედია, პატივცემულნი მოსამართლენი დამსაჯულნი უკვე აღნიშნულითაც დაკმაყოფილდებიან და საჯაროთ აღიარებენ, რომ ყოველივე, რაც ჩაიდინა ტრიდიმო გველაძემ, ჩაიდინა არა როგორც ადამიანმა მხეცური ინსტიქტებით, არამედ როგორც მხეცმა ადამიანის სახით.

ამისათვის, ბ-ნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, გთხოვთ უდანაშაულოთ იცნოთ ჩემი კლიენტი, სრულიად გამართლოთ ისა და მით უზრუნველ ჰყოთ სამართლიანობის პრინციპები. (ტაში).

ნაფიც მსაჯულთა საბჭომ ორი საათის სჯა-ბაასის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ტრიდიმო გველაძე ცნობილ იქმნა, როგორც ხეცი ადამიანის სახით და გამართლებული ურიცხვ დანაშაულობათა ჩადენაში.

ხალხი ძლიერ აღელვა ამ განაჩენმა და მქუხარე ტაშით დაჯილდოვეს მოსამართლენი.

მდივანი.

P. S. აღნიშნულმა გასამართლებამ დიდი მოძრაობა გამოიწვია აღმოსავლეთ გურიის მხეცთა შორის. მელიათა ხელმძღვანელობით, დათვებს, მგლებს, ტურებს, ფოცხვერებს და სხვათა, პეტიცია შეუდგენიათ და მიურთმევიათ სამსჯავროსათვის. ისინი ულრმეს აღშფოთებას გამოთქვამენ აღგვარი გადაწყვეტილების გამო, ვინაიდან თავს შეურაცხყოფილათ სთვლიან ტრიდიმო გველაძის მათ კორპორაციაში ჩარიცხვის გამო.

მდ.

ნუ ნაღვლობ ძმაო!

ღილა ციმციმებს... არე მიდამო
ზურმუხტ ქათიბით შემოქარგულა;
მნათობის უხეი ტურფა სხივები
მდელოს წიაღში გრძნობით ჩაკრულა.
ციური ცვარი, მარგალიტივით,
ვარდის კოკორზე ელავს,— ქათქათებს,
ცელქი ნაკადი სპეკალ ზხეფებით
უხვათ რწყავს მინდვრის ზურმუხტსა კალთებს.
გრწობისა მეფე ჩანგს აწკრიალებს,
შაშვი ხის ტოტზე ტკბილათ ჭახჭახებს,
ფრთა ლაღი სიო ნაზის ტიტინით
ეამბორება ფერად ზამბახებს.
ქვეყნიურ შვებით მტკბარი და მთვრალი
წარმტაც ბუნებას ვერ სტაცებს თვალსა,
ეტრფიალება იმის მშვენებას
და განუსაზღვრელს ეძლევა წამსა.
მხოლოთ მარტო შენ შრომისა შვილო,
ესე სურათი ვერ გაჯადოვებს,
კრული სვე ბედი კვალ და კვალ დაგდევს,
თვალთაგან ცხარე ცრემლებს გათოვებს,
მაგრამ ნუ ნაღვლობ, ჩაგრულო ძმაო,
შენთვისაც დაჭკრავს ეამი ნეტარი
და საზარ ღამის სუსხით გათოშილს,
სხივს გადმოგაფრქვევს ტურფა ცისკარი.

დ. თ. ურდოსპირველი.

რეიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველნი:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი

და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი

ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

გ. რობაქიძე. თქვენც ხომ თანახმა ხართ ქ-ნო ზეინაბ, ამ საქმის განსაჩივრებისა?
ზეინაბ. თქვენ, ბ-ნო დამცველო ისე ღრმათ ჩასწვდით ჩემს გულის გრძნობებს, რომ მე არც სა-თქმელი და არც საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.
კოტა. ოქვენ რას იტყვით ბ-ნო ოთარ, გორის ერისთავო?
ოთარი. მ...მ...მ...მე დალ...ე...ვის წი..ნა..ღლღ. მდეგი არ. აო...დეს არა..

ტრამვაის ცხოვრებიდან.



ბ-ნი მატეუზოვი სიყვარულს უცხადებს ქ-ნ გისს.

„მესაკე“ ვინმე „ხალხს“ მოეკლინა!

—

დღესა ერთსა „ხალხს“, სამშობლოს,
მოეკლინა სანახავი—
ზღვის ტალღებმა ჭაობ კიდეს
გამორიყა ძველი ნავი;
ნავ-ქარი აქანებდა
იმა ნავის თეთრსა ალამს
მუნ ჭაბუკი ვინმე იდგა
მიუძღვნიდა „ხალხსა“ სალამს.
რას ნიშნავდა ეს მოვლენა?
რა იყო მის ბედის წერა?
შესაქებროდა ხალხი ალამს,
კითხულობდა — ზედ ეწერა:
„ჩემსკენ მოდით კალათებით,
აქეთ კარგი მწვანილიო,
კოტა ბიეის მოკრეფილი
ნავით გამოტანილიო—“

და იხილა ხალხმა სანახაობა ესე: — იდგა ჭაბუკი ნავსა მას დანჯღრეულსა და მასვე ახლდა ორშაურიანი ბურთის ტოლა არსება—სანჩო.

და ჭაბუკსა მას მარჯვენასა იღლიას ქვეშე ეჭყრო ტიკი, რომელსა არდა იდგა წვენი ვაზისა რაშეთუ შეესვა მოწყურებულსა.

ხოლო ტიკსა მას ინახებოდა ნადავლი უცხო ქვეყნიდან: — ქანდაკების ნამტვრევი და ნაგლეჯი ოსმალეთის ასულთა მანდილისა. — რაიცა ცხადჰყოფდა ჭაბუკისა მისგან ხელოვნებისა და მშვენიერების მოყვარულობასა.

და მოკუპრული პირი ტიკისა დახაზულიყო, რაიცა ნიშნავდა დაწერილს; რომეთუ ჭაბუკი იგი იყო მწერალი და არა გაიჩნდა ეტრატი...

ჭაბუკი ესე, გაჭრილი კიდითი კიდეს, იკვებებოდა ნიახურითა და კალამი მისი იყო გამხმარი ძირი იმავე ნიახურისა, რომელითა ჩახაზულ იყო ტიკისა პირი

და განცხადებენ ამებრ ალამზე აღნიშნულისა, ნავი დატვირთულიყო ბალახ-მწვანილითა.

და ხალხმა მან კალათებით არარა ივაჭრა, რამეთუ ნიახური თვითონ ჭაბუკსა ეჭამა და დარჩენილიყო გვირილა, რომელი წაიღო ხალხმა მკირედ— რწყილთა მბენართა სამუსრად.

და ხალხმა მან ზურგი აქცია სანახაობასა ამას და გაემართა ბაზარსა სხვასა.

და დაშთა ჭაბუკი ნავსა მას დანჯღრეულსა.

და დღესა მას ღამე მოჰყვა, ხოლო ღამესა დღე.

— მწყურის: — წარმოსთქვა ჭაბუკმა.

— მშია! — განიმეორა სანჩომ.

და მანვე — სანჩომ — აღადო გვირილა ბალახისა ძირი გამხმარი და დასაველა ჭაობსა ნავისა ძირად მდგომარესა შინა და დაიწერა ალამსა თეთრსა მეორე გვერდსა ასოებითა ფრიად მახვილითა: „**რედაქცია**“.

და ინუგეშეს მათ,
და ალამსა იმასვე თეთრსა
დასწერეს განცხადება სხვა.
და ხალხისა მისაქცევად
ტიკს ჩაბერეს, დაჰკრეს ზარი—
„მოდით ხალხო! — მოკლე ხანში
გაიხსნება აქ ბაზარი;
ფერჩატკები თეთრ ლაიკის
იყიდება იაფ ფასში; —
შეგიძლიათ აარჩიოთ
რომელიც გსურთ, წყვილი ასში.
რამდენიმე პოლის ტილოც,
საჭონელი სულ გრანიკის
დაეშურეთ — ვინც არ იცის!

და მიიკენ მისდამი, ყოველნი, რომელთა მიქცევა ჯერ იყო.

მაგრამ ფერჩატკები ნახმარ იყო და პოლის ტილო გაცვეთილ.

და დამთავრდა ვაჭრობა ესეცა უნაყოფოდ,
და ფრიად დაღვრემილ დარჩა ჭაბუკი

მხოლოდ სანჩოსა ეპყრა ალამი თეთრი, რომელსაზედა იყო აღბეჭდილ ასოები მსხვილითა „**რედაქცია**“.

და განცხადებანი ლექსად: —
„აქეთ კარგი მწვანილი,
„კოტა ბიეის მოკრეფილი,
„ნავით გამოტანილი“...
და სხვა ამგვარი, ბევრი..
და დამთავრდა ამბავი მცირე სანახაობისა მის.

შხამაანი ბალალა.

მათრახის ფოსტა.

ბათუმი. ა. ბნელიძეს. ორ ერთხელ და ორჯერ გვითქვამს, რომ ეგენი წვრილ წვრილმან წერილებზე რედაქციას არ შეეძლოს ბასუხის გაცემა და არც ასეთი წვრილმანი წერილების ბეჭდვა დაბრრნების გასრულდობსო.

თქვენ მაინც გსურთ ბასუხი, თუ რატომ არ აბეჭდავ თქვენი ლექსები.

ახლა!

„ნეტავ რა არის სამყარო,
რისთვის ან ვისთვის არსებულია?
ვინც გაძღერობს და მელობს
ის ბრმა დიდებულია.“

ენდა მოგახსენოთ, რომ ძნელი სითქმელია, თუ რისთვის არსებობს სამყარო, მაგრამ ადვილი სითქმელია, რომ ორ ასეთი ლექსების საწერად.

„წარსულ წლებშია, ოჰ, ლედა!
რა „ეფანიეი“ მყავდა,
ახლა რა ცოდვა გეწვია
თითქოს სულ თლათ წახდია“

ოჰ, ლედა!.. წარსულ წლებში ვკონებ არც თქვენ სწერდით ლექსებს, მაგრამ ახლა ოჰ, ლედა! რადაც ცოდვა ეწვიათ და მოუტანა დაკარგულიაო.

„ფრინველთ და ოთხფეთ ერთხელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუტყდათ ომი მწარდია
წიწდენ და გლეჯდენ ერთმანეთს
წიკილ ბღოკინი გახდია!"

ოჭ, დედ! კანა თითონ ვერა ხედავთ, რომ ,,ომი მწარდია'' და ,,ბღოკინი კახდა'' შეგრეულ კვარებს უფრო ჭკვეს ვიდრე ბოეზეიის კამოხატულებას? ოჭ, დედ!

„ერთი ფრინველი იმათში
ხარ-ხარებს სხვაზე მარდია,
სეითაც ძალას შეატყობს
იქ გადახტ-გადაფრინდია"

ოჭ, დედ! ამა რამელი ფრინველი გინახავთ ხარ-ხარებდეს და ,,ცალ-ტ-ცალ-ფრინდაა'' შეგბოდეს? ოჭ, დედ!

„ოჭ ჯანუმ ბიზუმ ყარდაშო,
ასეა ცხოვრება ავია,
ვინც მიბაძის ზოეტებს
იმას შეურცხვეს თავი."

ოჭ, დედ! რასთვის კეტანკოვი და ოქვენ თავსაც ეტანჯავთ! ამაზე სხვა რადა გვეთქმის:

ოჭ ჯანუმ ბიზუმ ყარდაშო, დექსები თქვენი ავია,
ვინაც მიბაძის ზოეტებს ამას . . . . . .

მეგონია კმარა. მე თქვენ კარეშეხებთ, რომ ბრა-ზეთ წერა უფრო მოგიხდებთ, ვიდრე ბოეზეთ.

სამტრედია. რკოს. მიდლობის კიტხვებთ უერ-დდებისთვის, მაგრამ:

„ოჭ ჯანუმ ბიზუმ ყარდაშო
„მარადა" უკარგისია,

„ტვინში ჩაესოს მეთხვეულ-ბოეზეიეა!
ვითარცა ვით სადგისია!"

გორი. მწეგრობარს მარადია ქარიული გრამ-ტეკა ხშირად ხმარობს უცხო სიტყვებში ,,ბ''-ს მაგ-ერად ,,დ''-ს, მაგრამ ,,ქ. გორის'' ნაცვლად ,,ქ. დო-რის'' დაწერა მეტის მეტი ,,დრამატიკული და მწი-კნობრულია.''ამის მიხედვით თქვენ კამოხვადთ „ქ. დო-რის" მოქალაქე! ოჭ ჯანუმ ბიზუმ ყარდაშო!

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონ რედაქტორო! თქვენ პატივცემულ ჟურნალ «მათ-რახ და სალამურის» № 16-ში, მოთავსებული იყო «საალდ-გომო სარეკვიანი სარხერლებზე» „შემთხვევით დამსწრე"-სი.

რადგან სახოგადოებაში ხმებია გავრცელებული, ვი-თომ იმ წერილის ავტორი მე ვიყო, გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ ორგანოში, რომ ავტორი მე არა ვარ და დამიტოვნთ ცრუ ბრალდებისაგან *).

პატივისცემით **გრიგორი ფარკოსაძე.**

*) «მათრახის» რედაქცია არწმუნებს ცრუ ბრალმდებ-ლებს, რომ გიორგი ფარკოსაძეს არ ეკუთვნის აღნიშნული ლექსი.

წელიწადი 1910 წლისათვის მეოთხე.

მიიღება ხელის მოწერა

ქართველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი.

ვინც ამ თავდახ გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავვის-ტოს პირველ რიცხვებშ ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома, Василію Караманович Болквадзе.

ელექტრო-მმბეგდ ვი ამბ. «შრომა» რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

საკვირველი ამბავი!

გამგელი. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შეხედეთ ცოცხალი ინტენდანტია და ციხეში არ ზის, თავისუფლაო დადის!!